№1419 2015 წლის 3 ივლისი ქ. თბილისი

სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტოს სათაო ოფისის მშენებლობასთან დაკავშირებული მომსახურებების სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტოს სათაო ოფისის მშენებლობასთან დაკავშირებული საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის, საკადასტრო აზომვითი ნახაზების მომზადების, გეოლოგიური, ტერიტორიის ლანდშაფტისა და ჰიდროლოგიური კვლევისა და ტოპოგრაფიული მომსახურების სახელმწიფო შესყიდვები, 2015 წლის განმავლობაში, განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული სახელმწიფო შესყიდვებისათვის ფინანსური რესურსების მობილიზება განახორციელოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - მონაცემთა

გაცვლის სააგენტომ, კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლებიდან და სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სახსრებით, მისთვის კანონმდებლობით დაკისრებული მიზნებისა და ფუნქციების განხორციელების შეუფერხებლად.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**